

# სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგი

პროდუქტის აღწერა

ფარმაცევტული პროდუქტის სავაჭრო

დასახელება:

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგი

საქართველოში ფარმაცევტული პროდუქტის

რეგისტრაციის ნომერი : **R-022876**

## Composition:

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგი წარმოადგენს *Staphylococcus aureus* ბაქტერიების მიმართ აქტიურ, ქრომატოგრაფიულად გაწმენდილ ფაგურ ლიზატს.

არააქტიური ნივთიერებების სახით: ფიზიოლოგიური ხსნარი, ხოლო კონსერვანტად გამოყენებულია ქინაზოლი.

აღწერა:

უფერო, ოდნავ მოყვითალო სითხე.

ფარმაკოლოგიური თვისებები:

ფარმაკოთერაპიული ჯგუფი:

სპეციფიკური ანტიბაქტერიული საშუალება

ფარმაკოლოგიური მოქმედება:

იწვევს *Staphylococcus aureus* ბაქტერიების სპეციფიურ ლიზისს.

დანიშნულება:

სამკურნალო პრეპარატი განკუთვნილია ბაქტერიოფაგის მიმართ მგრძობიარე სტაფილოკოკური ეტიოლოგიის ინფექციების სამკურნალოდ.

გამოყენების ჩვენება:

- ზედა სასუნთქი გზების, ცხვირის, ხახის, ფილტვების, ყურის (ფარინგიტი, ანგინა, ტრაქეიტი, ბრონქიტი, პლევრიტი, პნევმონია, შუა ყურის ანთეზა) ინფექციური დაავადებები;
- ქირურგიული ინფექციები (ჩირქოვანი ჭრილობები, დამწვრობები, აბსცესები, ფლეგმონები, ფურუნკულები, კარბუნკულები, პარაპროქტიტი, მასტიტი, ბურსიტი, ოსტეომიელიტი, პანარიციუმი);
- უროგენიტალური ინფექციები (ურეთრიტი, ცისტიტი, პიელონეფრიტი, კოლპიტი, ენდომეტრიტი);
- ენტერალური ინფექციები (გასტროენტეროკოლიტი, ქოლერისტიტი);
- ახალშობილთა ჩირქოვან-ანთებითი დაავადებები (ომფალიტი, პიოდერმიტი, კონიუქტივიტი, გასტროენტეროკოლიტი და სხვა);
- სტაფილოკოკებით გამოწვეული სხვა დაავადებები.



**STAPHYLOCOCCAL  
BACTERIOPHAGE**

STERILE PURIFIED SOLUTION FOR TOPICAL AND ORAL USE

10 ml x 5

Phages active against (pfu/ml)  
*Staphylococcus (10<sup>7</sup>)*

Preparations developed by  
**GEORGE ELIAVA INSTITUTE**  
OF BACTERIOPHAGES, MICROBIOLOGY AND VIROLOGY



**გამოყენების წესი და დოზირება:**

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგი გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნით ოპერაციის შემდგომი და ინფიცირებული ჭრილობების დასამუშავებლად, ასევე საავადმყოფოსშიდა სტაფილოკოკური ინფექციის დადასტურებული ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლის შემთხვევაში. პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის დასაღვეად, ჭრილობების დასამუშავებლად დრენირებისა და აპლიკაციის სახით, რექტალურად, ყელ-ყურ-ცხვირის, ასევე შარდ-სასქესო ორგანოების ღრუებში შესაყვანად.

პრეპარატის რეკომენდირებული დოზები და მიღების წესი:

ასაკი	მიღების წესი და დოზა	
	Per os (მლ)	Per rectum (მლ) (გაწმენდითი ოყნის შემდეგ)
6 თვემდე	5	5-10
6 თვიდან 1 წლამდე	10	10-20
1 წლიდან 5 წლამდე	15	20-30
3 წლიდან 8 წლამდე	15-20	30-40
8 წლის ზევით	20-30	40-50

Per os სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენების წინ 3 წლის ზევით ასაკის ბავშვებში და მოზრდილებში რეკომენდირებულია 2-3% სასმელი სოდიანი ხსნარის მიღება.

ინფექციური აბსცესის დროს, ბაქტერიოფაგი პუნქციის მეშვეობით შეჰყავთ აბსცესის ღრუში ჩირქის წინასწარი ევაკუაციის შემდგომ; ფილტვის აბსცესის შემთხვევაში, ტრანსტორაკალური პუნქციის და ტრაქეობრონქიალური ხის კათეტერიზაციის მეშვეობით; პლევრის ემფიზემის შემთხვევაში ღრუს სანაციის შემდგომ პრეპარატი შეჰყავთ პუნქციის და დრენაჟის მეშვეობით.

აბსცესის შემთხვევაში პრეპარატის გამოყენებული მოცულობა უნდა იყოს ევაკუირებული ჩირქის მოცულობაზე ოდნავ ნაკლები.

ტრაქეობრონქიალური ხის კათეტერიზაციის დროს პრეპარატის ერთჯერადი დოზა შეადგენს 10-20 მლ-ს. პლევრის ემფიზემის შემთხვევაში - ერთჯერადი დოზაა 10 მლ-დან 50 მლ-მდე.

**განსაკუთრებული მითითებები:**

გამოყენების წინ ფლაკონი უნდა შევანჯღრიოთ, სითხე უნდა იყოს გამჭვირვალე და ნალექის გარეშე. შეფუთვის დაზიანებისას ან ფლაკონში ფაგის შემღვრევის შემთხვევაში პრეპარატი არ გამოიყენოთ!!! არ შეიძლება პრეპარატის შენახვა ფლაკონის გახსნის შემდეგ!!!

**ჭარბი დოზირება:**

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ჭარბი დოზირების სიმპტომები არ გამოვლენილა.

**უკუჩვენებები:**

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენებას უკუჩვენებები არ გააჩნია.

**გვერდითი მოვლენები:**

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენებისას გვერდითი მოვლენები არ გამოვლენილა.

**ურთიერთქმედება სხვა სამკურნალო საშუალებებთან:**

პრეპარატის გამოყენება შესაძლებელია სხვა სამკურნალო საშუალებების პარალელურად. სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენებისას ალკოჰოლის მიღება არ არის რეკომენდირებული.

**მომხმარებელთა განსაკუთრებული კატეგორიები:****ორსულობა და ლაქტაცია:**

პრეპარატის გამოყენება ორსულობისას და ლაქტაციის პერიოდში დასაშვებია.

**ხანდაზმულები:**

პრეპარატი ინიშნება ხანდაზმულ პაციენტებში.

გავლენა ავტომობილების მძღოლებზე და პოტენციურად საშიშ მანქანა-დანადგარებთან მომუშავე პერსონალზე:

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგის გამოყენება არ ახდენს გავლენას ავტომობილის ან სხვა მანქანა-დანადგარების მართვის უნარზე.

**შეფუთვა:**

პრეპარატი გამოდის 10 მლ-იან ფლაკონებში (ერთ ყუთში 5 ფლაკონი)

**შენახვის პირობები და ვარგისობის ვადა:**

სტაფილოკოკური ბაქტერიოფაგი ინახება მზის სხივებისგან დაცულ, მშრალ ადგილას, +2°C - +8°C ტემპერატურაზე. შენახვის ვადაა 24 თვე.

**გაცემის რეჟიმი:**

ფარმაცევტული პროდუქტი ჯგუფი III, გაიცემა რეცეპტის გარეშე.

პრეპარატი შემუშავებულია გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტში.

**მწარმოებელი:**

შპს. "ბაქტერიოფაგის ბიოპრეპარატები"

საქართველო, თბილისი 0160, გოთუას 3; ტელეფონი: +995(32) 2370702; ელ-ფოსტა: [info@phage.ge](mailto:info@phage.ge)